მომიჯნავე შენობების ურთიერთზეგავლენის
საექსპერტო შეფასება

ქ.თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, (ნაკვეთი 24/25
ს/კ 01.019.20.020.127) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის
მიხედვით მშენებლობის პროცესში ტერიტორიაზე არსებულ შენობებზე
ურთიერთზეგავლენასთან დაკავშირებით

საექსპერტო შეფასება

დამკვეთი შპს „ვარკეთილი დეველოპმენტი“-ს დირექტორი - თენგიზ წულაია,
არქიტექტორი - ლევან მაღლაკელიძე
კონსტრუქტორი - დავით ქევანიშვილი
ექსპერტი-კონსტრუქტირი - ნიკოლოზ ჭკუასელი

ასაშენებელი ნაგებობა გეგმაში მართკუთხედის ფორმის 13 სართულიანია, შენობა ერთი მიწისქვეშა სართულით. შენობის გაბარიტული ზომებია გეგმაში - (52.50x20.20) მ. შენობის სიმაღლეა - 3,20 ნიშნულის დონიდან ლიფტის სამანქანოს გადახურვამდე შეადგენს 45,40მ-ს. შენობას გააჩნია 2 კიბის უჯრედი და 2 ლიფტი.

სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული შენობები:

- საპროექტო შენობიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით- 1 სართულიანი ნაგებობა (ს/კ 01.19.20.020.021) – 6,4მ. მანძილზე;
- საპროექტოდან სამხრეთ-დასავლეთით ნაგებობა (ს.კ. 01.19.20.015) - სამსართულიანი 9,3 მ. მანძილზეა.

დანარჩენი შენობებია : - 9 სართულიანი - 22,2 მ. მანძილზე; 14 სართულიანი 18,5 მ. მანძილზე. პატარ-პატარა ნაგებობები-ფარდულები - ერთ სართულიანი - ისიც საპროექტო მოედნის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე.

არსებული საავტომობილო გზა საპროექტო მოედნიდან - 39,7 მ. მანძილზეა.

ქვაბულის დამუშავების პროცესში გამოყენებული სამშენებლო ტექნიკისაგან გამოწვეული (ასეთი არსებობის შემთხვევაში) იქონიებდა გავლენას შენობის ყველა მხარეს. აღნიშნულ ნაწილში შენობებს არ გააჩნია რამე სახის დეფორმაციები (1-3 სართულიანობა, დაშორებული მანძილები საპროექტო შენობიდან, რაც საფუძველია მათი უსაფრთხოების). ასევე უსაფრთხოა საპროექტო შენობისთვის.

რაც შეეხება ქვაბულის დამუშავებისას შენობის შემდგომ ექსპლოატაციას, პროექტში და ნატურაში განხორციელებულია მიწისქვეშა სართულის კედლების ჰიდროიზოლაცია.

ჩატარებული სამუშაოები უზრუნველყოფს მომიჯნავე ნაგებობებთან მიმართებაში საერთო უსაფრთხოებას. მათი უსაფრთხოება და მათზე გავლენა, ასევე დაცულია.

აღსანიშნავია, რომ შესრულებულია სამუშაო საკმარისი მოცულობით და ხარისხიანად, ქეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად.

შესაძლოა გაკეთდეს საინჟინრო-ტექნიკური დასკვნა.

დასკვნა

ქ.თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, (ნაკვეთი 24/25 ს/კ 01.019.20.020.127) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის მიხედვით მშენებლობის პროცესში სამშენებლო ტერიტორიაზე არსებულ შენობებზე ურთიერთზეგავლენასთან დაკავშირებით პროექტის გაცნობისას და მშენებლობის პროცესში შედეგების ანალიზი შესაძლებელს ხდის მიეცეს რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი-კონსტრუქტორი,-ინჟინერ-მშენებელი,

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ.ჭკუასელი